**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №0300/10/ 030**

ქ. თბილისი 2021 წელი

ერთი მხრივ, **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულებლის **რევაზ მოსეშვილის** სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **შპს „ჯი-თი გრუპ“** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, №216) წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის **თემურ უსტიაშვილის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატერების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული დოკუმენტებით:

1.3.1 დანართი №1 - სარეგლამენტო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა - პრაისი;

1.3.2 დანართი №2 - ტექნიკური მომსახურების ხარჯთაღრიცხვა - პრაისი.

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5 ,,მომსახურება“ - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

1.6 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.3 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **არაუმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებების** (Iveco Daily 70C15D, Iveco Daily 50C15D) **სარეგლამენტო და ტექნიკური მომსახურება** (შემდგომში - მომსახურება), წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და დანართი №1-ით გათვალისწინებული ნაწილებისა და მომსახურების ერთეულის ფასების შესაბამისად.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 50112000.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 10'000 (**ათი ათასი**) ლარს (დღგ-ის ჩათვლით) (შემდგომში - „ხელშეკრელების ღირებულება“).

3.2 გასაწევი მომსახურების დასახელება და ერთეულის ფასი განისაზღვრება მომსახურების ხარჯთაღრიცხვის - პრაისის შესაბამისად (დანართი №1).

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2021 **წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით, შემსყიდველის წარმომადგენლის, სატრანსპორტო სამსახურის უფროსის/მოვალეობის შემსრულებლის წერილობითი (მ.შ. ელექტრონული ფოსტით განხორციელებული შეტყობინებიდან) მოთხოვნიდან - არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, სტანდარტულ პირობებში. სამუშაო(ები)ს სირთულის და სათადარიგო ნაწილ(ებ)ის ადგილზე არქონის შემთხვევებში, მხარეთა შეთანხმებით ვადა შესაძლებელია გაიზარდოს დამატებით 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. ყოველი ასეთი კონკრეტული შეკვეთის დროს, მიმწოდებელი დამატებით აცნობებს შემსყიდველს მიწოდების ვადების შესახებ.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილი - მიმწოდებლის სერვისცენტრი მდებარე - ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №216-ში.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.3 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

| „შემსყიდველი“ | **„მიმწოდებელი“** |
|---|---|
| შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ | შპს „ჯი-თი გრუპ“ |
| LLC Tbilisi Transport Company Digitally signed by LLC Tbilisi Transport Company Date: 2021.02.08 12:05:34 +04'00' | GT GROUPLLC Digitally signed by GT GROUPLLC Date: 2021.02.08 17:20:49 +04'00' |
| რევაზ მოსეშვილი | თემურ უსტიაშვილი |
| გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი | გენერალური დირექტორი |

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სატრანსპორტო სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი პირი").

5.3 ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადისა და ხარისხის დაცვას;

5.3.2 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

6. საგარანტიო პირობება და ვადები

6.3 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება და სათადარიგო ნაწილები იქნება ხარისხიანი და სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს.

6.4 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას გაწეულ მომსახურებასა და სათადარიგო ნაწილებზე დანართი №1-ის შესაბამისად.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წუნდებული მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების შეცვლა განახორციელოს შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. სამუშაოების სირთულის, სამუშაო(ები)ს სირთულის და სათადარიგო ნაწილ(ებ)ის ადგილზე არქონის შემთხვევებში, მხარეთა შეთანხმებით ვადა შესაძლებელია გაიზარდოს დამატებით 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. ყოველი ასეთი კონკრეტული შემთხვევის დროს, მიმწოდებელი დამატებით აცნობებს შემსყიდველს ვადების შესახებ.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.3 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

7.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.5 მომსახურების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე.

7.6 მომსახურების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული (მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი) ნებისმიერი ასანაზღაურებელი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილ და მიმწოდებელზე ვადამოსულ გადასარიცხი თანხიდან.

8.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.3 შემსყიდველი ვალდებულია:

9.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურება;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრელებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4.2 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

9.5.2 მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების მე-4 პუნქტის შესაბამისად;

9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე; აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

9.5.4 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) მის მიერ გაფრთხილების მიცემისა და დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

11.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

## 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხდის გადასახდელი თანხის 0.2 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის დარღვევისათვის. ასეთის არსებობის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხდის გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.2 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადას პერიოდში არ განახორციელებს წუნდებული მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების შეცვლას ხელშეკრულების 6.3 პუნქტის შესაბამისად, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებელი დღისთვის.

12.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების

პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

## 14. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არცერთ მხარეს უფლება არა აქვს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.4 „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების" შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების" სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების" შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 **წლის 31 იანვრის** ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტებისა.

16.2 ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტები ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

**„შემსყიდველი"**
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: (995 32) 2 93 50 50.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE22

**„მიმწოდებელი"**
შპს „ჯი-თი გრუპ"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 200119923
იურიდ. მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №216
ტელ: (995 32) 2 74 07 40
სს საქართველოს ბანკი ც/ფ
ა/ა GE43BG0000000122211500; ბანკის კოდი: BAGAGE22
ელ.ფოსტა: l.koberidze@gtgroup.ge

დანართი №1

## სარეგლამენტო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა - პრაისი

| Iveco Daily 50C15 პერიოდული მომსახურების რეგლამენტი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 20000კმ და 400სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 5 | მომსახურება | 1.4 | სთ | 80.00 | 112.00 |
| | | **მომსახურების ღირებულება** | | | | **547.00** |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 40000კმ და 800სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | ჰაერის ფილტრი | 1 | ც | 161.00 | 161.00 |
| | 5 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 6 | მომსახურება | 1.7 | სთ | 80.00 | 136.00 |
| | | **მომსახურების ღირებულება** | | | | **732.00** |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 60000კმ და 1200სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 5 | მომსახურება | 1.4 | სთ | 80.00 | 112.00 |
| | | **მომსახურების ღირებულება** | | | | **547.00** |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 80000კმ ან 1600სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | ჰაერის ფილტრი | 1 | ც | 161.00 | 161.00 |
| | 5 | ხიდის ზეთი | 4 | ლიტ | 18.00 | 72.00 |
| | 6 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 7 | მომსახურება | 2.2 | სთ | 80.00 | 176.00 |
| | | **მომსახურების ღირებულება** | | | | **844.00** |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |

| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 100000კმ ან 2000სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 5 | მომსახურება | 1.4 | სთ | 80.00 | 112.00 |
| | | **მომსახურების ღირებულება** | | | | **547.00** |

| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 120000კმ ან 2400სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | ჰაერის ფილტრი | 1 | ც | 161.00 | 161.00 |
| | 5 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | 3 | ლიტ | 50.00 | 150.00 |
| | 6 | ძრავის ღვედი | 1 | ც | 59.00 | 59.00 |
| | 7 | ძრავის ჯაჭვი დამჭიმით | 1 | ც | 590.00 | 590.00 |
| | 8 | ძრავის ჯაჭვი დამჭიმით | 1 | ც | 750.00 | 750.00 |
| | 9 | ძრავის ჯაჭვის მიმმართველი | 1 | ც | 175.00 | 175.00 |
| | 10 | ძრავის წინა საფარის საფენი | 1 | ც | 65.00 | 65.00 |
| | 11 | ძრავის წინა საფარი | 1 | ც | 592.00 | 592.00 |
| | 12 | ძრავის წინა ჩობალი | 1 | ც | 95.00 | 95.00 |
| | 13 | ღვედის დამჭიმი | 1 | ც | 176.00 | 176.00 |
| | 14 | დამჭიმის ჭანჭიკი | 1 | ც | 3.00 | 3.00 |
| | 15 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 16 | მომსახურება (ზეთის და ფილტრების შეცვლა) | 2.8 | სთ | 80.00 | 224.00 |
| | 17 | მომსახურება (ძრავის ჯაჭვის მ/დ) | 6.2 | სთ | 80.00 | 496.00 |
| | 18 | მომსახურება (ღვედის დამჭიმის მ/დ) | 0.9 | სთ | 80.00 | 72.00 |
| | | **მომსახურების ღირებულება** | | | | **4,043.00** |

| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 200000კმ ან 4000სთ | 1 | ძრავის სასუნთქი ფილტრი | 1 | ც | 101.00 | 101.00 |
| | 2 | მომსახურება | 0.5 | სთ | 80.00 | 40.00 |
| | | **მომსახურების ღირებულება** | | | | **141.00** |

| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოველწლიურად | 1 | სალონის ფილტრი | 1 | ც | 29.00 | 29.00 |
| | 2 | მომსახურება | 0.3 | სთ | 80.00 | 24.00 |
| | | **მომსახურების ღირებულება** | | | | **53.00** |

| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოველ 2 წელიწადში | 1 | სამუხრუჭე სითხე | 2 | ლიტ | 32.00 | 64.00 |

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

რევაზ მოსეშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**„მიმწოდებელი“**
შპს „ჯი-თი გრუპ“

თემურ უსტიაშვილი
გენერალური დირექტორი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | მომსახურება | 0.9 | სთ | 80.00 | 72.00 |
| | | მომსახურების ღირებულება | | | | 136.00 |

| Iveco Daily 70C15D პერიოდული მომსახურების რეგლამენტი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 20000კმ და 400სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 5 | მომსახურება | 1.4 | სთ | 80.00 | 112.00 |
| | | მომსახურების ღირებულება | | | | 547.00 |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 40000კმ და 800სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | ჰაერის ფილტრი | 1 | ც | 161.00 | 161.00 |
| | 5 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 6 | მომსახურება | 1.7 | სთ | 80.00 | 136.00 |
| | | მომსახურების ღირებულება | | | | 732.00 |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 60000კმ და 1200სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 5 | მომსახურება | 1.4 | სთ | 80.00 | 112.00 |
| | | მომსახურების ღირებულება | | | | 547.00 |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 80000კმ ან 1600სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | ჰაერის ფილტრი | 1 | ც | 161.00 | 161.00 |
| | 5 | ხიდის ზეთი | 3.5 | ლიტ | 18.00 | 63.00 |
| | 6 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 7 | მომსახურება | 2.2 | სთ | 80.00 | 176.00 |

| | | მომსახურების ღირებულება | | | | 835.00 |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 100000კმ ორ 2000სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 5 | მომსახურება | 1.4 | სთ | 80.00 | 112.00 |
| | | მომსახურების ღირებულება | | | | 547.00 |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 120000კმ ან 2400სთ | 1 | ძრავის ზეთი | 7 | ლიტ | 33.00 | 231.00 |
| | 2 | ზეთის ფილტრი | 1 | ც | 46.00 | 46.00 |
| | 3 | საწვავის ფილტრი | 1 | ც | 136.00 | 136.00 |
| | 4 | ჰაერის ფილტრი | 1 | ც | 161.00 | 161.00 |
| | 5 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | 3 | ლიტ | 50.00 | 150.00 |
| | 6 | ძრავის ღვედი | 1 | ც | 59.00 | 59.00 |
| | 7 | ძრავის ჯაჭვი დამჭიმით | 1 | ც | 590.00 | 590.00 |
| | 8 | ძრავის ჯაჭვი დამჭიმით | 1 | ც | 750.00 | 750.00 |
| | 9 | ძრავის ჯაჭვის მიმმართველი | 1 | ც | 175.00 | 175.00 |
| | 10 | ძრავის წინა საფარის საფენი | 1 | ც | 65.00 | 65.00 |
| | 11 | ძრავის წინა საფარი | 1 | ც | 592.00 | 592.00 |
| | 12 | ძრავის წინა ჩობალი | 1 | ც | 95.00 | 95.00 |
| | 13 | ღვედის დამჭიმი | 1 | ც | 176.00 | 176.00 |
| | 14 | დამჭიმის ჭანჭიკი | 1 | ც | 3.00 | 3.00 |
| | 15 | გაპოხვა | 1 | კგ | 22.00 | 22.00 |
| | 16 | მომსახურება (ზეთის და ფილტრების შეცვლა) | 2.8 | სთ | 80.00 | 224.00 |
| | 17 | მომსახურება (ძრავის ჯაჭვის მ/დ) | 6.2 | სთ | 80.00 | 496.00 |
| | 18 | მომსახურება (ღვედის დამჭიმის მ/დ) | 0.9 | სთ | 80.00 | 72.00 |
| | | მომსახურების ღირებულება | | | | 4,043.00 |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| 200000კმ ან 4000სთ | 1 | ძრავის სასუნთქი ფილტრი | 1 | ც | 101.00 | 101.00 |
| | 2 | მომსახურება | 0.5 | სთ | 80.00 | 40.00 |
| | | მომსახურების ღირებულება | | | | 141.00 |
| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
| ყოველწლიურად | 1 | სალონის ფილტრი | 1 | ც | 29.00 | 29.00 |
| | 2 | მომსახურება | 0.3 | სთ | 80.00 | 24.00 |
| | | მომსახურების ღირებულება | | | | 53.00 |

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

[signature]

რევაზ მოსეშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი"
შპს „ჯი-თი გრუპ"

თემურ უსტიაშვილი
გენერალური დირექტორი

| პერიოდი | # | დასახელება | რაოდ. | ერთ. | ერთ. ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოველ 2 წელიწადში | 1 | გადაბმულობის სითხე | 2 | ლიტ | 32.00 | 64.00 |
| | 2 | მომსახურება | 0.9 | სთ | 80.00 | 72.00 |
| | **მომსახურების ღირებულება** | | | | | **136.00** |

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

რევაზ მოსეშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**„მიმწოდებელი“**
შპს „ჭი-თი გრუპ“

თემურ უსტიაშვილი
გენერალური დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №0300/10/030

ქ. თბილისი 2021 წელი

დანართი №2

ტექნიკური მომსახურების ხარჯთაღრიცხვა - პრაისი

| Iveco Daily 50C15 - saqonlis da momsaxurebis fasebi | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | რაოდ | ერთ | ერთ. ფასი | სულ |
| ა/მ მცველი | 1 | ც | 2.00 | 2.00 |
| ელ. სადენი | 1 | მ | 4.00 | 4.00 |
| ნათურა ახლო მანათი ფარის ჰ7 24V | 1 | ც | 25.00 | 25.00 |
| ნათურა გაბარიტის რკინის ძირით | 1 | ც | 8.00 | 8.00 |
| ნათურა გაბარიტის შუშის ძირით | 1 | ც | 8.00 | 8.00 |
| ნათურა ფარის ჰ3 24V | 1 | ც | 18.00 | 18.00 |
| ნათურა ფარის ჰ1 24V | 1 | ც | 18.00 | 18.00 |
| ნათურა სტოპის 24V/1კ | 1 | ც | 12.00 | 12.00 |
| ნათურა სტოპის 24V/2კ | 1 | ც | 12.00 | 12.00 |
| წინა ხუნდები | 1 | ც | 462.00 | 462.00 |
| წინა სამუხრუჭე დისკი | 1 | ც | 302.00 | 302.00 |
| უკანა ხუნდები ცვეთის სენსორით | 1 | ც | 458.00 | 458.00 |
| უკანა სამუხრუჭე დისკი | 1 | ც | 317.00 | 317.00 |
| უკანა აბეეს სენსორი | 1 | ც | 164.00 | 164.00 |
| უკანა მორგვის საკისარი | 1 | ც | 351.00 | 351.00 |
| გადაბმულობის ქურო და დისკი | 1 | ც | 2,140.00 | 2,140.00 |
| გადაბმულობის დამწოლი საკისარი | 1 | ც | 232.00 | 232.00 |
| უკანა მარჯვენა ფარი | 1 | ც | 134.00 | 134.00 |
| უკანა მარცხენა ფარი | 1 | ც | 134.00 | 134.00 |
| ნომრის განათება მარჯვენა | 1 | ც | 36.00 | 36.00 |
| ნომრის განათება მარცხენა | 1 | ც | 36.00 | 36.00 |
| წინა მარჯვენა ფარი | 1 | ც | 747.00 | 747.00 |
| წინა მარცხენა ფარი | 1 | ც | 747.00 | 747.00 |
| სამუშაო სანათი | 1 | ც | 820.00 | 820.00 |
| მომსახურება (ნათურის შეცვლა) | 0.3 | სთ | 80.00 | 24.00 |
| მომსახურება (წინა ხუნდის მ/დ) | 0.8 | სთ | 80.00 | 64.00 |
| მომსახურება (უკანა ხუნდის მ/დ) | 1 | სთ | 80.00 | 80.00 |
| მომსახურება (წინა სამუხრუჭე დისკის მ/დ) | 0.8 | სთ | 80.00 | 64.00 |
| მომსახურება (უკანა სამუხრუჭე დისკის მ/დ) | 1.3 | სთ | 80.00 | 104.00 |
| მომსახურება (გადაბმულობის მ/დ) | 4.7 | სთ | 80.00 | 376.00 |
| მომსახურება (უკანა მორგივს საკისრის მ/დ) | 1.6 | სთ | 80.00 | 128.00 |
| მომსახურება (წინა მორგივს საკისრის მ/დ) | 1 | სთ | 80.00 | 80.00 |
| მომსახურება (უკანა ფარის მ/დ) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (სამუშაო სანათის მ/დ) | 1.2 | სთ | 80.00 | 96.00 |
| მომსახურება (ნომრის განათების მ/დ) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

რევაზ მოსეშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**„მიმწოდებელი"**
შპს „ჯი-თი გრუპ"

თემურ უსტიაშვილი
გენერალური დირექტორი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მომსახურება (წინა ფარის მ/დ) | 0.7 | სთ | 80.00 | 56.00 |
| მომსახურება (წინა აბეესის სენსორის მ/დ) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (უკანა აბეესის სენსორის მ/დ) | 1.6 | სთ | 80.00 | 128.00 |
| მომსახურება (კომპიუტეურლი დიაგნოსტიკა) | 1 | ც | 80.00 | 80.00 |
| მომსახურება (კომპიუტერული პროგრამირება) | 1 | ც | 160.00 | 160.00 |
| მომსახურება (თვლის ნახრის გასწორება) | 1 | ც | 90.00 | 90.00 |
| მომსახურება (წინა საბურავის მ/დ) | 0.3 | სთ | 80.00 | 24.00 |
| მომსახურება (უკანა საბურავის მ/დ) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (საბურავის დ/ა) | 0.2 | სთ | 80.00 | 16.00 |
| მომსახურება (საბურავის ბალანსირება) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (მუხრუჭის შემოწმება სტენდზე) 1 ხიდზე | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| სხვა დანარჩენი მომსახურების 1 საათის ღირებულება | 1 | სთ | 80.00 | 80.00 |

| Iveco Daily 70C15D - საქონლის და მომსახურების ფასები | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | რაოდ | ერთ | ერთ. ფასი | სულ |
| ა/მ მცველი | 1 | ც | 2.00 | 2.00 |
| ელ. სადენი | 1 | მ | 4.00 | 4.00 |
| ნათურა ახლო მანათი ფარის ჰ7 24V | 1 | ც | 25.00 | 25.00 |
| ნათურა გაბარიტის რკინის ძირით | 1 | ც | 8.00 | 8.00 |
| ნათურა გაბარიტის შუშის ძირით | 1 | ც | 8.00 | 8.00 |
| ნათურა ფარის ჰ3 24V | 1 | ც | 18.00 | 18.00 |
| ნათურა ფარის ჰ1 24V | 1 | ც | 18.00 | 18.00 |
| ნათურა სტოპის 24V/1კ | 1 | ც | 12.00 | 12.00 |
| ნათურა სტოპის 24V/2კ | 1 | ც | 12.00 | 12.00 |
| წინა ხუნდები ცვეთის სენსორით | 1 | ც | 816.00 | 816.00 |
| წინა სამუხრუჭე დისკი | 1 | ც | 302.00 | 302.00 |
| უკანა ხუნდები ცვეთის სენსორით | 1 | ც | 796.00 | 796.00 |
| უკანა სამუხრუჭე დისკი | 1 | ც | 590.00 | 590.00 |
| უკანა აბეეს სენსორი | 1 | ც | 164.00 | 164.00 |
| წინა აბეესის სენსორი | 1 | ც | 70.00 | 70.00 |
| უკანა მორგვის საკისარი | 1 | ც | 131.00 | 131.00 |
| გადაბმულობის ქურო და დისკი | 1 | ც | 2,140.00 | 2,140.00 |
| გადაბმულობის დამწოლი საკისარი | 1 | ც | 232.00 | 232.00 |
| უკანა მარჯვენა ფარი | 1 | ც | 134.00 | 134.00 |
| უკანა მარცხენა ფარი | 1 | ც | 134.00 | 134.00 |
| ნომრის განათება მარჯვენა | 1 | ც | 36.00 | 36.00 |
| ნომრის განათება მარცხენა | 1 | ც | 36.00 | 36.00 |
| წინა მარჯვენა ფარი | 1 | ც | 747.00 | 747.00 |

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №0300/10/030

ქ. თბილისი 2021 წელი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წინა მარცხენა ფარი | 1 | ც | 747.00 | 747.00 |
| სამუშაო სანათი | 1 | ც | 820.00 | 820.00 |
| მომსახურება (ნათურის შეცვლა) | 0.3 | სთ | 80.00 | 24.00 |
| მომსახურება (წინა ხუნდის მ/დ) | 0.8 | სთ | 80.00 | 64.00 |
| მომსახურება (უკანა ხუნდის მ/დ) | 1 | სთ | 80.00 | 80.00 |
| მომსახურება (წინა სამუხრუჭე დისკის მ/დ) | 0.8 | სთ | 80.00 | 64.00 |
| მომსახურება (უკანა სამუხრუჭე დისკის მ/დ) | 1.3 | სთ | 80.00 | 104.00 |
| მომსახურება (გადაბმულობის მ/დ) | 4.7 | სთ | 80.00 | 376.00 |
| მომსახურება (უკანა მორგივს საკისრის მ/დ) | 1.6 | სთ | 80.00 | 128.00 |
| მომსახურება (წინა მორგივს საკისრის მ/დ) | 1 | სთ | 80.00 | 80.00 |
| მომსახურება (უკანა ფარის მ/დ) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (სამუშაო სანათის მ/დ) | 1.2 | სთ | 80.00 | 96.00 |
| მომსახურება (ნომრის განათების მ/დ) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (წინა ფარის მ/დ) | 0.7 | სთ | 80.00 | 56.00 |
| მომსახურება (წინა აბეესის სენსორის მ/დ) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (უკანა აბეესის სენსორის მ/დ) | 1.6 | სთ | 80.00 | 128.00 |
| მომსახურება (კომპიუტერული დიაგნოსტიკა) | 1 | ც | 80.00 | 80.00 |
| მომსახურება (კომპიუტერული პროგრამირება) | 1 | ც | 160.00 | 160.00 |
| მომსახურება (თვლის ნახრის გასწორება) | 1 | ც | 90.00 | 90.00 |
| მომსახურება (წინა საბურავის მ/დ) | 0.3 | სთ | 80.00 | 24.00 |
| მომსახურება (უკანა საბურავის მ/დ) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (საბურავის დ/ა) | 0.2 | სთ | 80.00 | 16.00 |
| მომსახურება (საბურავის ბალანსირება) | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| მომსახურება (მუხრუჭის შემოწმება სტენდზე) 1 ხიდზე | 0.4 | სთ | 80.00 | 32.00 |
| სხვა დანარჩენი მომსახურების 1 საათის ღირებულება | 1 | სთ | 80.00 | 80.00 |

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

რევაზ მოსეშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი"
შპს „ჯი-თი გრუპ"

თემურ უსტიაშვილი
გენერალური დირექტორი